

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „აგრობესთ ჯორჯია“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-16

შპს "აგრობესტ ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	17956,94	32079,65
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	527781,25	279057,93
წინასწარ გადახდილი გადასახადები		4616,63	2648,57
მარაგები	6	2563013,16	1040759,55
ძირითადი საშუალებები	7	8369,28	10403,4
არამატერიალური აქტივები	8	585,12	671,52
სულ აქტივები		3122322.38	1365620.62
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2548941,19	850821,33
სულ ვალდებულებები		2548941,19	850821,33
საწესდებო კაპიტალი		79593,93	79593,93
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		493787.26	435205.36
სულ კაპიტალი		573381.19	514799.29
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3122322.38	1365620.62

დირექტორი: გურამ მინდიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ჯიმშერ ვეკუა

შპს "აგრობესტ ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	17956,94	32079,65
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	527781,25	279057,93
წინასწარ გადახდილი გადასახადები		4616,63	2648,57
მარაგები	6	2563013,16	1040759,55
ძირითადი საშუალებები	7	8369,28	10403,4
არამატერიალური აქტივები	8	585,12	671,52
სულ აქტივები		3122322,38	1365620,62
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2548941,19	850821,33
სულ ვალდებულებები		2548941,19	850821,33
საწესდებო კაპიტალი		79593,93	79593,93
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		493787,26	435205,36
სულ კაპიტალი		573381,19	514799,29
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3122322,38	1365620,62

დირექტორი: გურამ მინდიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ჯიმშერ ვეკუა

შპს "აგრობესტ ჯორჯია"

მოგება - ზარალის დ ასხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>10</u>	4012569
თვითღირებულება	<u>11</u>	(3474605)
საერთო მოგება		537964
სხვა შემოსავლები		92370
ზოგადი დადმინისტრაციული ხარჯი	<u>12</u>	(571752)
საოპერაციო მოგება		58582
ფინანსური შემოსავალი	<u>13</u>	
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		
მოგება დაბეგვრამდე	-	58582
მოგების გადასახადი		
წმინდამოგება	-	58582
მთლიანი სრული შემოსავალი	-	58582

შპს "აგრობესთ ჯორჯია"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებოკაპიტა ლი	გაუნაწილებელიმოგ ება	მთლიანიკაპიტა ლი
2017 წლის 31 დეკემბერი	79594	43205.36	514799
წმინდამოგება	-	58582	58582
სხვასრულიშემოსავალი	-		-
პერიოდისსრულიშემოსავა ლი	-	58582	58582
გაცემულიდივიდენდი	-	-	-
საწესდებოკაპიტალისზრდა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	79594	493787	573381

1. ზოგადინფორმაცია

შპს „აგრობესტ ჯორჯია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 09 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 406155404. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3, I მ/რ, კორპ. #2, ბ. 68ა, ფაქტიური მისამართი თბილისი, გორგასლი 77.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პესტიციდებით და შხამქიმიკატების იმპორტი რეალიზაცია. შპს „აგრობესტ ჯორჯი“ საქართველოს ბაზარზე ახდენს მრავალი დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: ინსექტიციდები, ჰერბიციდები, ფუნგიციდები და სასუქები. რომლის იმპორტი და რეალიზაცია განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან.

კომპანიის დამფუძნებლები არიან ფარუქ ეროდლო 50%-ის წილის მფლობელი და მუსტაფა ოლუზჰან ეროდლო 50%-ის წილის მფლობელი. (რომლებიც არიან თურქეთის მოქალაქეები) დირექტორია გურამ მინდიაშვილი. კომპანიის საწესდებოკაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 79594 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 9(ცხრა)-ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის

კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადიაქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიცი ალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის.

მოგება და ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადიაქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიცი ალური კურსით აღიარებულია მოგება და ზარალი. წლის ბოლოს კონვერტაცია არეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

ძირითადი სააღრიცხვ ოპოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემულის შესახებ

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებასპ როცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არარის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ ვალიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

ძირითად საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი	10 წელი
არამატერიალური აქტივი	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში,

თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსოსხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვაშემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, დაასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხისკ ორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება ადარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის

შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუკომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმპერიოდის ფინანსურანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია პირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლოდავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსური ნფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო

პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სასამართლო დავა სადაც წარმოადგენს მოსარჩელეს.

შენიშვნა 3 - ფული დაფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფულისალაროში	78,8	0
ფულისაბანკოანგარიშებზე	17878	32080
სულ ჯამი	17956,8	32080

შენიშვნა 4 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭროდებიტორულიდავალიანე ბები	527781	279058
სულ ჯამი	527781	279058

შენიშვნა 6 - მარაგები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
საქონელი	2563013,16	1040759,55
სულ ჯამი	2560313.16	1040759.55

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერილიტექნიკ ა	ჯამი
ლარში		
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	8800.79	8800.79
შესყიდვა	850	850

გასვლა

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით

	-
9650.79	9650.79
ავჯი	ჯამი

ლარში

2017 წლის ბოლოს მდგომარეობით

7147	7147
------	------

შესყიდვა

გასვლა

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით

7147	7147
------	------

-

საბალანსო დირექტულები

2017 წლის ბოლოს

15947.79	15947.79
----------	----------

2018 წლის ბოლოს

16797.79	16797.79
----------	----------

შენიშვნა 8 - არმატურა ლრი აქტები

არმატურა ლრი აქტები

ლარი

2017 წლის ბოლოს

პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
863.96	863.96

შემოსავლა

გასვლა

2018 წლის ბოლოს

-	-
863.96	863.96

დაგროვილი ამორტიზაცია

2017 წლის ბოლოს

პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
192.46	192.46

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასვლის დაგროვილი ამორტიზაცია

86.4	86.4
	-

2018 წლის ბოლოს

278.85	278.85
--------	--------

დაგროვილი ამორტიზაცია

კომპიუტერული ტექნიკა

ჯამი

2017 წლის ბოლოს

3413.62	3413.62
---------	---------

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასვლის დაგროვილი ამორტიზაცია

1891.72	1891.72
-	-

2018 წლის ბოლოს

5305.34	5305.34
---------	---------

დაგროვილი ამორტიზაცი

	აგეჯი	ჯამი
2017 წლისბოლოს	2130.76	2130.76
პერიოდისამორტიზაციისხარჯი	992.4	992.4
გასულისდაგროვილიამორტიზაცია		-
2018 წლისბოლოს	3123.16	3123.16
საბალანსოდირებულება		
2017 წლისბოლოს	16811.75	16811.75
2018 წლისბოლოს	17661.75	17661.75

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	2547689	85130
სხვა ვალდებულებები	1252	691
სულ ჯამი	2548941	850821

შენიშვნა 10 - ამონაგები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონლის რეალიზაცია	4012569
სულ ჯამი	4012569

შენიშვნა 11 - თვითღირებულება

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონლის თვითღირებულება	(3474605)
სულ ჯამი	(3474605)

შენიშვნა 12 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2018 წლის 31
------	--------------

	დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	(205900)
დებიტორული დავალიანების	
ანარიცხები	(76465)
იჯარის ხარჯი	(45600)
მარაგების გაუფასურების	
ხარჯი	(64474)
პრეპარატების რეგისტრაციის	
ხარჯი	(63320)
მომსახურების ხარჯი	(47780)
მარკეტინგული ხარჯი	(30083)
სხვაადმინისტრაციული ხარჯი	(38130)
სულ ჯამი	(571752)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბრით;

დირექტორი: გურამ მინდიაშვილი

სულ ჯამი

(3474605)

შენიშვნა 12 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

2018 წლის 31

დეკემბერი

შრომის ანაზღაურება

(205900)

დებიტორული დავალიანების

ანარიცხები

(76465)

იჯარის ხარჯი

(45600)

მარაგების გაუფასურების

ხარჯი

(64474)

პრეპარატების რეგისტრაციის

ხარჯი

(63320)

მომსახურების ხარჯი

(47780)

მარკეტინგული ხარჯი

(30083)

სხვაადმინისტრაციული ხარჯი

(38130)

სულ ჯამი

(571752)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბრით;

დირექტორი: გურამ მინდიაშვილი

